


მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა
ადგილობრივ თვითმმართველობაში

*ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის
საჭიროებების დოკუმენტი*

*ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო
საქართველო (LDA Georgia)*

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა“ იურისტი (IDP Women Association "Consent").

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	4
1.1 კვლევის საფუძველი	4
1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა	4-5
1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება	5
2. შესავალი	6-7
3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....	8
3.1. ეკონომიკური განვითარება.....	8-10
3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	10
3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	10-12
3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა	12-13
3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	13-15
4. რეკომენდაციები.....	16-17
5. საბიუჯეტო პროგრამა.....	18-19
6. დანართი.....	20
სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....	20-21

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალთ დახეული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფებზე მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, მერის 2020 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და 2021-2024 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- ადგილობრივი თვითმმართველობიდან : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის წარმომადგენელი;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, მარჩენალდაკარგული, უმუშევარი).

- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები;
- სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი;
- სოციალური მუშაკი;
- პედაგოგი.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა (15) რესპოდენტმა, რომელთა შორის 15- ვე მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 27 წლიდან 70 წლამდე მერყეობდა.

1.3 ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ჭიათურის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 - ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკიოტები, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, Covid-19-გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჯერ კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში გაგრძელდეს ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება. უფრო მეტად შეეწყოს ხელი აგრო, ეკო ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მძიმე მრეწველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ აუცილებელია სამთო-სამრეწველო საქმიანობის განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეკოლოგიური საკითხების მოწესრიგებასაც დაეთმოს. დაბინძურებული მდინარე, გაუსაძლისი მტვერი საფრთხეს უქმნის, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების ჯანმრთელობას ასევე შემაფერხებელი გარემოებაა ტურიზმისა თუ სოფლის მეურნეობის კუთხით განვითარებისთვის.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა უმუშევრობა და მოწყვლადი ოჯახები უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს. აწვდიდა სასურსათო კალათებს, ახდენდა ტრანსპორტირებაში ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა პანდემიის პერიოდშიც მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ. თუმცა ფოკუს ჯგუფების დისკუსიების შედეგებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა დაიწყოს ახალ რეალობასა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ხელი შეუწყოს დისტანციური სერვისების დანერგვას. ერთჯერადი ფულადი დახმარებები შეცვალოს ისეთი

პროგრამებით/სერვისებით, რომელიც ოჯახებს შესაძლებლობას მისცემს გრძელვადიანად დაძლიონ გამოწვევები. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ჭიათურის ეკონომიკურ განვითარებაში ძირითადი წვლილი მანგანუმისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე მოდის. მუნიციპალიტეტი მდიდარია წიაღისეულის ისეთი სახეობებით, როგორცაა მარმარილო, კვარციანი ქვიშა, სამშენებლო ქვა და სხვა.

სოფლის მეურნეობა : ჭიათურის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია ,სადაც მწირია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის საჭირო მიწის რესურსი. სოფლის მეურნეობას ძირითადად მცირე ფერმერები (გლეხები) მისდევენ და მოყვანილი მოსავალი პირადი მოხმარებისთვის გამოიყენება. მოსახლეობას ლობიო და სიმინდი მოჰყავს. მიწების დამუშავებისთვის, როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს ხელშემშლელი ფაქტორია ადგილზე შესაბამისი სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა, რაც არსებობს ისიც მოძველებულია. მოსახლეობისთვის ძვირია ასევე თესვები, პესტიციდები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, დღეისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით დახმარებას საჭიროებს. ადგილზე არ არის შემუშავებული ჭიათურის სოფლებზე მორგებული, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების პროგრამები (მაგ. მევენახეობის, ან მეფუტკრეობის).

ვაკე ადგილებში მოსახლეობა მეფრინველეობას, მესაქონლეობას და მევენახეობას მისდევს. არის საოჯახო მარნები, რომლებიც ტურისტებში პოპულარულობით სარგებლობს.

მოსახლეობის ნაწილი დაკავებულია მეფუტკრეობით, თუმცა ბოლო წლებში შესამჩნევია ფუტკრის სკების რაოდენობის შემცირება, რისი მიზეზიც ადგილობრივებისთვის გაურკვეველია. თაფლის მწარმოებლებისთვის გამოწვევაა თაფლის ბითუმად რეალიზება. მეფუტკრეებისთვის განვითარების შემაფერხებელ გარემოებად დასახელდა ასევე თაფლის ხარისხის დამდგენი სერთიფიცირების რთული და ძვირადღირებული პროცედურები.

მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა , ჭიათურაშიც ,ბოლო წლებში ,დანერგე მომავლის ფარგლებში მოცვის პლანტაციების მოშენების ხელშეწყობა დაიწყო. გარდა დანერგე მომავლის პროგრამისა, რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ჭიათურაში მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აწარმოე საქართველოს საგრანტო პროგრამაში. აღინიშნა, რომ მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ცოდნა ახალი კულტურების (ჟოლო, მოცვი, თხილი და სხვა) მოვლის შესახებ. ასევე პროგრამებში მონაწილეობა როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს არაერთი საფეხურის გავლას მოითხოვს, რაც მოქალაქეების დემოტივაციას ახდენს. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამების განმხორციელებლებისაგან უკუკავშირის მიღება იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა ბენეფიციარის პროექტში გამარჯვებას. გამოიკვეთა მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების აუცილებლობა (ადგილზე სოფლებში ხდებოდა მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი ინფორმირებულობა დეტალურად პროგრამების შესახებ, ასევე შემდგომში პერიოდული კონსულტირება) ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესახებ, ასევე მოქალაქეებისთვის დახმარება ბიზნეს გეგმის წერის უნარების გაძლიერების კუთხით. *„მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, რომ იცოდნენ როგორ დაწერონ პროექტი, როგორ შეავსონ განაცხადი და მოიპოვონ დაფინანსება”*, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისგან.

დისკუსიებისას, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური განვითარების პროგრამებიც იქნა ნახსენები. თუმცა რესპოდენტებმა დასძინეს, რომ სასურველი იქნებოდა თუ პროგრამები სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით ჭიათურის სხვადასხვა სოფლებზე იქნებოდა მორგებული, ხელი შეეწყობოდა ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას.

ადგილობრივი ბიზნესი , წარმოება და გადამუშავება, ბაზარზე წვდომა: დღეისათვის ჭიათურის ყველაზე მსხვილი საწარმო „ჯორჯიან მარგანეცი“-ა, სადაც 3500- მდე ¹ადგილობრივია დასაქმებული. ადგილზე წარმოდგენილია სხვა მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც ქვიშას მოიპოვებენ ან ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში არიან წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი ბოსტნეულის მწარმოებელი სასათბურე მეურნეობაა².

ჭიათურაში წარმოებული მარგანეცის, კვარციანი ქვიშის რეალიზაცია ხდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. დანარჩენი პროდუქცია, როგორცაა რძის ნაწარმი, ხორცი, ხილი და ბოსტნეული ძირითადად მცირე რაოდენობითაა და მათი რეალიზება ადგილზე ხდება.

მოსახლეობის მცირე ნაწილი აწარმოებს ჩაის. სამწუხაროდ ჩაის განვითარების ხელშეწყობა ჯერჯერობით სათანადოდ არ მიმდინარეობს. ჩაის პლანტაციები განახლებას და შესაბამის მოვლას საჭიროებს. აუცილებელია ჩაის მრეწველობის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ადგილზე კვალიფიციური დარგის სპეციალისტების (აგრონომების) არსებობა.

ტურიზმი და რეკრეაცია: როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, სწორი ხედვის არსებობის შემთხვევაში ჭიათურას ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია არაერთი ტურისტულად საინტერესო ადგილი (მაგ .კაცხის სვეტი, მღვიმეები, ეკლესია - მონასტრები), თუმცა ზოგიერთი ობიექტების მიმდებარედ არ არის მოწესრიგებული (მაგ. სოფელ სარქველეთუბნის ეკლესიასთან მისასვლელი გზა) ტურისტებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. აუცილებელია საინფორმაციო დაფების, საპირფარეშოების განთავსება. რესპოდენტების თქმით, სოფლებში ნაკლებად ხორციელდება ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების (აგრო, ეკოტურიზმი) განსავითარებლად პროექტები.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ჭიათურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობი ადგილები. არსებული საჭიროებს კეთილმოწყობას და განახლებას. შესამჩნევია კვალიფიციური კადრების დეფიციტი ტურიზმთან და სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში.

ტურიზმის შემაფერხებელ გარემოებად დასახელდა არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობა ჭიათურაში. სამწუხაროდ მრავლადაა ღია კარიერები, რომელიც რადიაციული გამოსხივებით ხასიათდება და ჯანმრთელობას აზიანებს. მნიშვნელოვანია კარიერების დამუშავება ისე რომ არ წარმოადგენდეს ეკოლოგიური დაბინძურების საშიშროებას. *„ტურიზმისა და ზოგადად ეკონომიკური განვითარებისთვის ღია კარიერების პრობლემის მოუგვარებლობა უარყოფით*

¹ ჭიათურის 2021-2024 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი გვ 43.

² ჭიათურის 2021-2024 წწ. საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი გვ 42

ზეგავლენას ახდენს, ლამაზი ბუნება გვაქვს, მაგრამ რომელი ტურისტი დარჩება ჭიათურაში რომ დაინახავს ამ მტვერს და დაბინძურებულ მდინარეს”, აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი : ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პანდემიის შედეგად გაუარესდა. სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ოჯახების რაოდენობა გაიზარდა. ³ არასაკმარისი დასაქმების შესაძლებლობები, ხელს უშლის ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას. მონაწილეების თქმით, ჭიათურაში ახალი ვირუსის გავრცელება სწრაფად და მარტივად მოხდა, რის გამოც კიდევ უფრო დამძიმდა მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობა, ბევრმა ოჯახმა დაკარგა შემოსავალი და კიდევ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე. პანდემიის შედეგად მუნიციპალიტეტი წითელი ჯვრისა და სხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების , კერძო ბიზნესის დახმარებით სასურსათო კალათებით ეხმარებოდა ხანდაზმულ, მარტოხელა, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, თუმცა იყვნენ ისეთი ოჯახებიც, რომლებიც ვერ მოხვდნენ დახმარების პროგრამაში, პანდემიამ მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია და შემოსავლის გარეშე დატოვა ან შეუმცირა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, სოციალური დისტანციის აუცილებლობამ, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს მოსახლეობაში ფსიქო-ემოციური მდგომარეობა დაამძიმა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია და უფრო შუახნის ასაკს გადაცილებული. დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შობადობის წასახალისებლად მუნიციპალიტეტს, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა გააჩნია ერთჯერადი ფულადი გასაცემელი ახალშობილი ბავშვებისთვის.

შრომის ბაზარი , უმუშევრობა და მიგრაცია: ერთადერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი ჭიათურაში „ჯორჯიან მარგანეცი“-ს კომპანიაა, თუმცა უმუშევრობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მწვავე გამოწვევაა. ⁴ საკმარისი სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო მოსახლეობა ვერ ხედავს ჭიათურაში დარჩენისა და განვითარების შესაძლებლობებს, შედეგად ისინი ტოვებენ სოფლებს და გადადიან საცხოვრებლად უფრო დიდ ქალაქებში ან მიდიან საზღვარგარეთ. შესაბამისად მაღალია მიგრაცია, რაც კარგად შესამჩნევია სოფლებში და ქალაქშიც მიტოვებული სახლების მაგალითზე.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტში მუდმივად მიმდინარეობს . თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ რჩება. პირველხარისხოვანი გზები რეაბილიტირებულია და მოწესრიგებული, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს ძირითადად შესაკეთებელია შიდა საუბნო (რიგ შემთხვევაში მაღალმთიანი სოფლების) გზები. მონაწილეების მხრიდან გულისტკივილი გამოითქვა ქალაქის გზების ხშირ დაზიანებებთან დაკავშირებით, რაც მათი აზრით, იმ სატვირთო მანქანების გამო ხდება, რომლებიც ახდენენ ნედლეულის გადატანას ქალაქის გავლით.

სოფლებში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნები. მიმდინარეობს ეტაპობრივი გაზიფიცირება. რესპოდენტების თქმით, დარჩენილია რამდენიმე სოფელი, სადაც გაზი მოსახლეობამდე ჯერ არ არის მიყვანილი. ელექტროენერჯის მიწოდება უწყვეტად ხდება. ასევე წესრიგდება გარე განათება. ქ.

³ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

⁴ ჭიათურის 2021-2024 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. გვ 44

ჭიათურაში გარეგანათება თითქმის სრულად უზრუნველყოფილია, თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი სოფლებშიც დროულად დასრულდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში წყლის მიწოდება უზრუნველყოფილია, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არ იციან რამდენად ვარგისია წყალი სასმელად. სოფლებში ასევე მიმდინარეობს წყლის სისტემის მოწესრიგება, არის ადგილები სადაც მოსახლეობა ჭის წყალს იყენებს, თუმცა გვალვის პერიოდში წყლის რესურსი მცირდება. სოფლებში მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემის მოწესრიგება,⁵ რაც მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას შეუწყობს ხელს.

კანალიზაციის სისტემა მხოლოდ ქალაქშია ხელმისაწვდომი, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაციას.

სოფლებში საბანკო მომსახურება ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ქ.ჭიათურაში ხელმისაწვდომია უფასო სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურება (იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ).

როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონები, სპორტული და საბავშვო მოედნები სოფლებში ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, თუმცა არ არის მოწესრიგებული გარეთა სივრცეები. სკოლები და ბაღები ცდილობენ მოაწესრიგონ სველი წერტილები. სკოლებს აქვთ ჭის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება და შემდეგ მიწოდება სველ წერტილებს. არ არის ხელმისაწვდომი თბილი წყალი. ბაღებსა და სკოლებს არ აქვთ კანალიზაციის სისტემა, რადგან სოფლებში ცენტრალური კანალიზაციის სისტემები ზოგადად არ არსებობს. ამიტომ სკოლებსა და ბაღებში ძირითადად ე.წ. ორმოული კანალიზაციის სისტემებია მოწყობილი.

რესპოდენტების მხრიდან მწვავე საკითხად დაისვა ჭიათურის ეკოლოგიური მდგომარეობა. დაბინძურებული გარემო პირობები მარტივი შესამჩნევია. *„გაუსაძლისია იმ მტვრის სუნთქვა, რომელიც აქ ქუჩებში გვხვდება, მდინარე მდინარეს არ გავს. აქ მოყვანილი არც ბოსტნეული ვარგა და არც ხილი. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა დაავადებებს ებრძვის და ამის მიზეზი დაბინძურებული ეკოლოგიური მდგომარეობაა“*, აღნიშნეს ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას.

ცალკე გამოიკვეთა მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს და არაკომფორტულს ხდის მოქალაქეთა ფეხით გადაადგილებას.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ჭიათურა მთიანი რელიეფით ხასიათდება, სადაც გადაადგილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება საბაგიროა, (რომელის მუშაობაც კვლევის ჩატარების პერიოდში შეჩერებული იყო) მოქალაქეებისათვის გადაადგილება გართულებულია, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილია მოქალაქეების ტრანსპორტირება შეღავათიან ფასად იმ ადგილებიდან ქალაქამდე, სადაც საბაგირო გადაადგილების უცილებელ შესაძლებლობას წარმოადგენდა. ჭიათურაში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი. მოსახლეობა სარგებლობს კერძო

⁵ მუნიციპალიტეტის 2021-2024 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი .გვ 41

მიკროავტობუსებით, რომელიც თავად განსაზღვრავს მოძრაობის გრაფიკს. ტრანსპორტი ყველა სოფლიდან არ დადის ყოველდღე, რაც მოსახლეობის სიმცირით აიხსნება. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს ტრანსპორტი არ მიდის საავადმყოფომდე, არამედ მხოლოდ ნაგუთის დასახლებამდე, საიდანაც დამატებით ტაქსის აყვანა ხდება საჭირო, რათა მედ პერსონალი ან პაციენტი მივიდეს სამედიცინო დაწესებულებამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდში (შეზღუდვების დროს) მედ პერსონალის ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო. სატრანსპორტო საშუალებები არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, ინტერნეტი ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის. არის ადგილები სადაც დაფარვა ხარვეზებით ხდება. პანდემიის შედეგად, ინტერნეტ მოხმარებაზე მოთხოვნის გაზრდის ფონზე მოსახლეობას დაბალი ხარისხის ინტერნეტი მიეწოდება. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მაღალია ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი.

მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. არსებობს ადგილობრივი გაზეთი. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება, თუმცა აღნიშნული ფორმები რესპოდენტების თქმით საკმარისი არ არის, რადგან ყველას არ მიუწვდება ხელი სოციალურ ქსელებთან, ინტერნეტთან (მაგ. ხანდაზმულ ადამიანებს, ან შშმ პირებს).

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. არის სოფლები სადაც ბავშვების სიმცირის გამო ვერ ხერხდება სკოლის ფუნქციონირების შენარჩუნება. უზრუნველყოფილია შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ბალებში, ასევე სკოლებში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, პანდემიის თავდაპირველ ეტაპზე გამოვლინდნენ ბავშვები, რომლებიც ვერ ერთვებოდნენ ონლაინ სასწავლო პროცესში ინტერნეტთან ხელმიუწვდომლობის ან შესაბამისი ტექნიკის არ ქონის გამო. სოფლების სკოლებსა და ბალებში დგას ფსიქოლოგების, მედ დების ხელმიუწვდომლობის საკითხი.

ჭიათურაში ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი, თუმცა რესპოდენტების მოსაზრებით აუცილებელია ჭიათურაზე მორგებული პროფესიების დამატება, მაგალითად ტურიზმის მიმართულებით, სოფლის მეურნეობის კუთხით და სხვა

მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკები არსებობს, თუმცა არა ყველა თემში. (ფუნქციონირებს ცენტრალური და 16 სათემო ბიბლიოთეკა) ძირითადად ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და წიგნების საცავი მოძველებულია და სასურველია განახლება თანამედროვე ლიტერატურით.

ადგილზე ფუნქციონირებს მერიის დაფინანსებით კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები, სადაც ბავშვებისთვის სხვადასხვა წრეებია ხელმისაწვდომი, თუმცა ამ წრეებით ძირითადად ქალაქ ჭიათურაში ან ახლო სოფლებში მცხოვრები მოზარდები სარგებლობენ. სოფლად მცხოვრები მოზარდებისთვის მრავალფეროვანი სპორტული, საგანმანათლებლო, კულტურული წრეები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი, რადგან სოფლად მსგავსი აქტივობებისთვის ინფრასტრუქტურა არ

არსებობს. ძირითადად ქართული ხალხური ცეკვის წრეებია წარმოდგენილი, რომლებიც სკოლებშია გახსნილი.

ადგილზე ახალგაზრდებისთვის არ არსებობს დასვენებისა და გართობის ადგილები. არ არის კინო. *„ჭიათურაში იგეგმება მულტიფუნქციური ცენტრის გახსნა, კარგი იქნება თუ ციფრული მუზეუმის , ციფრული ბიბლიოთეკის , ბავშვთა გასართობი ცენტრის მოწყობაც მოხერხდება. აუცილებელია თანამედროვე მიდგომების დანერგვა“*, აღნიშნეს ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ჭიათურაში არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელსაც მრავალწლიანი ისტორია აქვს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კეთილმოწყობა უფრო იმ ადგილას ხდება, რომლებიც ტურისტულად მიმზიდველია.

კულტურული და სპორტული აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით ძირითადად ზაფხულის პერიოდში ან სადღესასწაულო დღეებში ტარდება. მსგავს ღონისძიებებში ნაკლებია შშმ პირების, ხანდაზმულების მონაწილეობა. განვითარებას საჭიროებს ხანდაზმულთა კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართვის ხელშემწყობი პროგრამები და აქტივობები (მაგ. შეჯიბრი ჭადრაკში/შაში/ნარდი. თეატრში ან მუზეუმში ვიზიტი და სხვა).

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ჭიათურაში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობაა. პეტიციების წარდგენა არ ხდება, რადგან მოსახლეობა არ ფლოს საჭირო უნარებს. არც მუნიციპალიტეტისგან ხდება მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება. კოვიდის შედეგად მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი მექანიზმი არ შექმნილა (მაგ.საკრებულოს სხდომების live stream ტრანსლაციები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა) და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, შეზღუდვების დროსაც ძირითადად სოფლის წარმომადგენლების მეშვეობით ხდებოდა. სოფლის კრებები ძირითადად მხოლოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა მოსახლეობის 20% ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია, ადგილზე მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის არ ყოფნის გამო. მოქალაქეები არ მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იშვიათად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს. მუნიციპალიტეტს აქვს ამხანაგობების ინფრასტრუქტურული საჭიროებების თანადაფინანსების პროგრამა, თუმცა არ აქვს ამხანაგობების აღრიცხვის წესი ,ამხანაგობების განვითარების სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობდა ამხანაგობების , როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმის განვითარებას.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს, რაც ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის პრობლემის გრძელვადიან გადაჭრას. პროგრამების შემუშავება ძირითადად შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ხდება. ჯერჯერობით არ/ვერ ხორციელდება არსებული პროგრამების ეფექტურობის შეფასება, რაც ხელს შეუწყობდა უფრო მეტად საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისების შემუშავებას, პროგრამების განახლებას და მოდიფიცირებას.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტების თანადაფინანსებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი. ჭიათურაში ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა გამოკვლევები და სხვადასხვა პროფილის ექიმების მომსახურეობა. *„პანდემიის პერიოდში ელემენტარული კომპიუტერული ტომოგრაფიის გადასაღებად პაციენტების ტრანსპორტირება ქუთაისში და ზესტაფონში გვიწევდა“*, აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ადგილზე არ არის ფსიქოლოგის მომსახურეობა ხელმისაწვდომი, რის გამოც მშობლებს ბავშვების ქუთაისში ტრანსპორტირება უწევთ. არ არის სისტემატიური სკრინინგ პროგრამები ხელმისაწვდომი. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, სოფლის ამბულატორია და ექიმი ყველა თემში არ არის წარმოდგენილი. არსებული ამბულატორიების ინფრასტრუქტურაც განახლებას და მოწესრიგებას საჭიროებს. შესამჩნევია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა.

დისკუსიებისას აღნიშნა, რომ მედიკამენტებზე ფასები ბოლო დროს ძალიან გაიზარდა, მათი ყიდვა კი მოსახლეობისთვის სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით ეს ეხებათ კოვიდ გადატანილ ადამიანებს, რომლებიც პოსტკოვიდური გართულებების დამატებით მკურნალობას საჭიროებენ.

სოციალური საკითხები და სერვისები : მერიას საბიუჯეტო პროგრამებით გათვალისწინებული აქვს პირველი ჯგუფის 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება, ხოლო 18 წელს ზემოთ პირველი ჯგუფის შშმ პირებისთვის კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების პროგრამა. ჭიათურაში არ არის სარეაბილიტაციო ცენტრი. შშმ პირებს ყველა სერვისის მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტებში უწევთ წასვლა. არ არის დანერგილი და განვითარებული შშმ პირების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი პროგრამები (სოც. საწარმო, შრომითი თერაპიის შესაძლებლობა ან სხვა).

ფოკუს ჯგუფების მსჯელობიდან გამოიკვეთა, რომ ჭიათურაში არიან ქალები, რომელთაც სურთ პროფესიის შესწავლა ან დასაქმება, თუმცა სახლში არ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილების მოვლაში დამხმარე პირები, რის გამოც ვერ ახერხებენ ვერც პროფესიების დაუფლებას, ვერც მათზე მორგებული გრაფიკით დასაქმებას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ქალების განათლებასა და გაძლიერებას.

ჭიათურაში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, რომელიც დაახლოებით 170 პირს ემსახურება. თუმცა სადილის ბინაზე მიტანის სერვისი არ ხორციელდება. უფასო სადილით ვერ სარგებლობენ სოფლებში მცხოვრები ხანდაზმული და სოციალურად დაუცველი ადამიანები. როგორც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას აღნიშნეს, მუნიციპალიტეტში არიან მარტოხელა ხანდაზმული ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ დახმარება საკუთარი თავის მოვლის(ჰიგიენური ნორმების დაცვა), საოჯახო საქმეების მოწესრიგებაში , თუმცა მსგავსი სერვისი მუნიციპალიტეტში დანერგილი ჯერ არ არის.

ადგილზე არ არის კრიზისული დახმარების ცენტრი, თუმცა საჭიროება არსებობს. *„ხშირია შემთხვევა როცა ოჯახში ძალადობის, მძიმე მოწყვლადობის ან სხვა გადაუდებელი მიზეზით გვჭირდება ბავშვების, ქალების, მარტოხელა უმწეო ადამიანების სასწრაფო წესით გადაყვანა უსაფრთხო ადგილას, თუმცა ვერ ვახერხებთ, რადგან მსგავსი ადგილი არ არსებობს ჭიათურაში“*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

პანდემიის შედეგად სოფლებში თვალსაჩინო გახდა ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რის გამოც რესპოდენტების აზრით, მნიშვნელოვანია ხორციელდებოდეს ძალადობის პრევენციაზე და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები. აუცილებლობას წარმოადგენს მოწყვლადი ოჯახების კრიზისული მდგომარეობიდან დაძლევაში დახმარების პროგრამების და სერვისების დანერგვა . „ მცირე ერთჯერადი ან თუნდა ყოველთვიური პატარ-პატარა ოდენობით ფულადი დახმარება ოჯახის გაძლიერების და პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს თანხები უნდა გაერთიანდეს და უნდა მოხმარდეს უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რაც ოჯახებს დაეხმარება დაძლიონ ან შეიმსუბუქონ მნიშვნელოვნად ის არახელსაყრელი მდგომარეობა რაც გააჩნიათ”, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისგან.

მერიის სოციალურ სამსახურთან შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის თანამშრომლების აყვანის და გადამზადების პროცესი არ იყო დასრულებული ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობის პერიოდისთვის. დისკუსიის შედეგად გამოვლინდა აღნიშნული სამსახურის გაძლიერების საჭიროება. „მნიშვნელოვანია განყოფილებამ დროულად შეიმუშაოს ბავშვების კეთილდღეობაზე მიმართული პროგრამები”, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილის მხრიდან.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია ოჯახის შეფასებისას ადგილობრივი თვითმმართველობის როლის და ჩართულობის გაზრდა. „სოციალური დახმარების პროგრამამ მოსახლეობა სახელმწიფოზე დამოკიდებული გახადა და გააზარმაცა, აუცილებელია შეიცვალოს შეფასების სისტემა და მიდგომა”. აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე, არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად გადაიხედოს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები, რათა გახდეს ისინი მოქალაქეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მორგებული;
- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორცაა ბიზნეს განაცხადის შევსება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და სიდუხჭირეს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან;
- გადახედოს სოფლის ექიმების (სოფლის ამბულატორიების) დაფინანსების/ფუნქციონირების საკითხს და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული, ხელი შეუწყოს ამბულატორიების აღჭურვას ადგილზე საჭირო აპარატურით.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ერთობლივად მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება. ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- მნიშვნელოვანია ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და წახალისება. სასურველია მუნიციპალიტეტმა დაინერგოს ჩართულობის სხვა, ახალი მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მეტ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთოსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში.
- კულტურული/ სპორტული ღონისძიებების მოწყობა ადმინისტრაციულ ერთეულებში და მათში შშმ პირების, ხანდაზმულების ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობა (სოფლებს შორის შეჯიბრებები, ჭადრაკში, ნარდში. სპექტაკლების ონლაინ და ღია სივრცეში გადატანა და სხვა).

5.საბიუჯეტო პროგრამა ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლად მარტო მცხოვრები და მარტოხელა ხანდაზმული ადამიანების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			14000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სამსახური			
წინაპირობა	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, სადაც ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით არაერთი სოფელი მდებარეობს. აღნიშნულ სოფლებში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და ხშირად სხვადასხვა სახის დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის საკვები პროდუქტებით. ჭიათურის მერია ერთჯერადად 500 ლარით დახმარებას უწევს 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ ადამიანებს, თუმცა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში არიან სოციალურად დაუცველი მარტო მცხოვრები ხანდაზმულები, რომლებიც საკვები პროდუქტებით დახმარებას საჭიროებენ. მათზე არ ვრცელდება უფასო სასადილოს სერვისიც, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებობს. სურსათზე გაზრდილი ფასების ფონზე, კი კუთვნილი სახელმწიფო პენსიით სულ უფრო ნაკლები პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა აქვთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილზე სასურსათო მაღაზიების არ არსებობა ხანდაზმულებისთვის დამატებითი დაბრკოლებაა. საჭირო პროდუქტების შესაძენად პენსიის აღების შემდეგ ქალაქში უწევთ გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული და ამავდროულად ამ ასაკის ადამიანების ჯანმრთელობისთვის პანდემიის ფონზე შესაძლოა დამატებითი საფრთხის შემცველი იყოს.</p>			
პროგრამის ბენეფიციარები	<p>სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მარტო მცხოვრები და მარტოხელა ხანდაზმულები , 70 წლიდან 95 წლამდე. რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 -ს.</p>			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	<p>პროგრამის მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტში , ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით მცხოვრები სოციალურად დაუცველი , მარტო მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა კვარტალში ერთხელ.</p>			

	<p>თითოეულ ბენეფიციარზე მოხდება 70 ლარის ფარგლებში სასურსათო პაკეტის მიწოდება, რომლის შემადგენლობაშიც იქნება: ზეთი, გრეჩისა, კარაქი, შაქარი, ტკბილეული, შედედებული რძე, მაკარონი, პური, მზა ხორცპროდუქტი.</p> <p>პროგრამის ბენეფიციარების რეგისტრაციას განახორციელებს მერიის სოციალური დაცვის სამსახური.</p>			
პროგრამის შედეგი	<p>უზრუნველყოფილია ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მარტოდ მცხოვრები 70 დან 95 წლამდე სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების საკვებ პროდუქტებთან ხელმისაწვდომობა.</p>			
შესრულების ინდიკატორი	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	არანაკლებ 50		
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	<p>ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>			
რისკები	<p>ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა და ნაკლები რესურსები</p>			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	<ol style="list-style-type: none"> 1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიძლიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	<ol style="list-style-type: none"> 5. ინფრასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები? 	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	<ol style="list-style-type: none"> 8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურება? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	<p>13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას?</p> <p>14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?</p>	
<p>განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა</p>	<p>15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისაწვდომი? თუ არის საგანმანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?</p> <p>116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვდომია?</p> <p>17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?</p>	<p>განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები: კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.</p>
<p>ძირითადი სერვისები და პროგრამები</p>	<p>18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?</p>	<p>ყურადღების გამახველება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.</p>
<p>Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები</p>	<p>20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად?</p> <p>21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.</p>
<p>რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის</p>	<p>23. რა უნდა გაკეთდეს თქვენი არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?</p> <p>24. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?</p>	<p>მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.</p>